

თავი 20

იჯარის აღრიცხვა – ტესტები**1. იჯარა არის:**

- ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმება
- ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული ურთიერთობები
- გ) წესდებით განსაზღვრული ურთიერთობა

2. ბასს-ი განიხილავს შემდეგი ტიპის იჯარას:

- ა) ჩვეულებრივ და ფინანსურ იჯარას
- ბ) საოპერაციო და ფინანსურ იჯარას
- გ) ორივე მათგანს

3. იჯარა რომ ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად:

- ა) მოიჯარეს უნდა გადაეცეს საკუთრების უფლება
- ბ) მოიჯარეს უნდა გადაეცეს მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი
- გ) ორივე პირობა უნდა დაკმაყოფილდეს

4. რომელი მოყვანილი სიტუაციით კლასიფიცირდება იჯარა ფინანსურ იჯარად:

- ა) იჯარა ითვალისწინებს განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდას მოიჯარისგან პერიოდის ბოლოს
- ბ) მიზნად ისახავს საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულება შეადგენს საიჯარო აქტივის მთლიანი რეალური ღირებულების 60%-ს
- გ) იჯარით აღებული აქტივი ხასიათდება სპეციფიკურობით ისე, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მისი გამოყენება მოდიფიკაციის გარეშე

5. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივი და ვალდებულება:

- ა) აქტივის რეალური ღირებულებით
- ბ) აქტივის რეალური ღირებულებასა და საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესით
- გ) აქტივის საბალანსო ღირებულებით

6. საიჯარო მიმდინარე გადასახდების თანხიდან წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება:

- ა) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული “პროცენტის” კომპონენტი
- ბ) ვადის მთლიანი თანხა
- გ) პროცენტის საბაზრო განაკვეთი

7. რა შემთხვევაში აისახება აქტივი მოიჯარის ბუღალტრულ ბალანსში:

- ა) საოპერაციო იჯარის დროს
- ბ) ფინანსური იჯარის დროს
- გ) ყველა სახის იჯარის დროს

- 8. მეიჯარე ვალდებულია, აქტივის ღირებულება, რომელიც გასცა ფინანსური იჯარით, ასახოს როგორც:**
- ა) დებიტორული დავალიანება
 - ბ) აქტივი, რომელიც გათვალისწინებულია გასყიდვად
 - გ) როგორც საიჯარო ვალდებულება
- 9. რომელი სიტუაცია მიგვანიშნებს, რომ იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად:**
- ა) თუ მოიჯარეს შეუძლია გააუქმოს იჯარა და გაუქმებასთან დაკავშირებული მეიჯარის ზარალის ანაზღაურება მას არ დაეკისრება
 - ბ) მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს იჯარა მეორე ვადით საბაზრო ღონეზე მნიშვნელოვნად დაბალი საიჯარო გადასახადით
 - გ) თუ იჯარა არ ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან.
- 10. მიწისა და შენობის იჯარა კლასიფიცირდება, როგორც:**
- ა) მხოლოდ საოპერაციო იჯარა
 - ბ) მხოლოდ ფინანსური იჯარა
 - გ) საოპერაციო ან ფინანსური იჯარა
- 11. კლასიფიკაციის მიზნით, იჯარით ერთად გაცემული მიწის ნაკვეთი და შენობა განიხილება:**
- ა) ცალ-ცალკე
 - ბ) ერთად, თუ შეუძლებელია საიჯარო გადასახდელების საიმედოდ განაწილება.
 - გ) ცალკე ან ერთად
- 12. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულება აისახება, როგორც:**
- ა) მოკლევადიანი
 - ბ) გრძელვადიანი
 - გ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი
- 13. მინიმალური საიჯარო გადასახდელის გადახდა მოეთხოვება:**
- ა) მოიჯარეს ყოველწლიურად
 - ბ) მეიჯარეს ყოველწლიურად
 - გ) მეიჯარის ან მოიჯარეს
- 14. მინიმალური საიჯარო გადასახდელი მოიჯარისათვის შედგება:**
- ა) ფინანსური ხარჯისა და საიჯარო ინვესტიციის შემცირებისაგან
 - ბ) ფინანსური შემოსავლისა და საიჯარო ვალდებულების შემცირებისაგან
 - გ) ფინანსური ხარჯისა და საიჯარო ვალდებულების შემცირებისაგან
- 15. მინიმალური საიჯარო გადასახდელი მეიჯარისათვის შედგება:**
- ა) ფინანსური ხარჯისა და საიჯარო ინვესტიციის შემცირებისაგან
 - ბ) ფინანსური შემოსავლისა და წმინდა საიჯარო ინვესტიციისაგან
 - გ) ფინანსური შემოსავლისა და საიჯარო ვალდებულების შემცირებისაგან

16. იჯარის დასაწყისში:

- ა) გადასახდელი თანხის დიდ ნაწილს წარმოადგენს ვალის ძირითადი თანხა და პროცენტები კი შეადგენს მცირე ელემენტს
- ბ) გადასახდელი თანხის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროცენტები, ხოლო ძირითადი ვალის ნაწილი არის მცირე ელემენტი
- გ) გადასახდელი ძირითადი თანხა და პროცენტები თანაბარია

17. ფინანსური ხარჯის გამოსათვლელად გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი:

- ა) იზრდება ყოველწლიურად
- ბ) იკლებს ყოველწლიურად
- გ) უცვლელია

18. ფინანსური იჯარის ვალდებულების შემცირება და ცვეთის ხარჯი:

- ა) ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს
- ბ) არ არის დამოკიდებული ერთმანეთზე
- გ) საწარმოს მენეჯმენტი წყვეტს ამ დამოკიდებულებას

19. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის, მთლიანი საიჯარო ინვესტიცია დისკონტირებული:

- ა) საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით
- ბ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთით
- გ) კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთით

20. ჩვეულებრივი იჯარის დროს აქტივი აისახება:

- ა) მეიჯარესთან
- ბ) მოიჯარესთან
- გ) ორივესთან შესაძლებელია ასახვა

იჯარის აღრიცხვა – ამოცანები**სამარჯოშო №1**

საწარმო „ა“-სა და საწარმო „ბ“-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მეიჯარე – საწარმო „ა“, მოიჯარეს, საწარმო „ბ“-ს ფინანსური იჯარით 6 წლით გადასცემს ავტომანქანას, რომლის რეალური ღირებულება 75.000 ლარია. ყოველი წლის ბოლოს გადასახდელი იჯარის თანხა 13.638 ლარია. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება 65.006 ლარია. ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი 7%-ია.

დავალება:

აღნიშნული მავალითით მოახდინეთ მოიჯარისა და მეიჯარის ოპერაციების ბუღალტრული გატარება

მოიჯარის ფინანსური ხარჯის განაწილების ცხრილი

წელი	საიჯარო გადასახდელი	ფინანსური ხარჯი (პროცენტი)	საიჯარო ვალდებულების შემცირება	საიჯარო ვალდებულების ნაშთი
იჯარის დასაწყისი				
I				
II				
III				
IV				
V				
VI				
ჯამი:				

1. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას საიჯარო ვალდებულების წარმოშობა:

2. პირველი წლის ფინანსური ხარჯის აღიარება:

3. პირველი წლის მინიმალური საიჯარო გადასახდელის გადარიცხვა:

4. პირველი წლის ბოლოს გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის აღიარება:

მეიჯარის ფინანსური შემოსავლის განაწილების ცხრილი

წელი	მისაღები საიჯარო გადასახდელი	ფინანსური შემოსავალი	წმინდა საიჯარო ინვესტიცია	წმინდა საიჯარო ინვესტიციის ნაშთი
იჯარის დასაწყისი				
I				
II				
III				
IV				
V				
VI				
ჯამი:				

1. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას საიჯარო მოთხოვნის წარმოშობა:

2. პირველი წლის ფინანსური შემოსავლის აღიარება:

3. პირველი წლის მინიმალური საიჯარო გადასახდელის ჩამორიცხვა:

4. პირველი წლის ბოლოს გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილის აღიარება:

საქართველო №2

საწარმო „ა“-სა და საწარმო „ბ“-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მეიჯარე – საწარმო „ა“, მოიჯარეს, საწარმო „ბ“-ს ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარით 4 წლით გადასცემს შენობას. ყოველი წლის ბოლოს გადასახდელი იჯარის თანხა 3000 ლარია.

დავალებები:

აღნიშნული მავალითით მოახდინეთ მოიჯარისა და მეიჯარის ოპერაციების ბუღალტრული გატარება

მოიჯარესთან:

1. პირველი წლის იჯარის ხარჯის და ვალდებულებების აღიარება:

2. პირველი წლის საიჯარო ხარჯის გადარიცხვა:

მეიჯარესთან:

1. პირველი წლის ფინანსური შემოსავლის აღიარება:

2. პირველი წლის საიჯარო შემოსავლის ჩამორიცხვა: